ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებები.

## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა

### სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ.

20 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 387

**დათხოვნილნი არიან:** სათადარიგოთ, ქვეითა ჯარში, ტფილისის მაზრაში, მე-5 ქვეითა პოლკის შტაბს-კაპიტ. მალალაშვილი, ქართველ-მუსულმანთა ბატალიონის პოდპორუჩიკი ბერძენიშვილი და პრაპორშჩიკი თოიძე. უკანასკნელ ორს მიეცემა საშტატგარეო ჯამაგირი.

მე-4 ქვეითა პოლკის შტაბს-კაპიტანი ცაგარეიშვილი.

სამსახურიდან, თანახმად თავისი სურვილისა, არსენალის საზეინკლო ამქრის გამგე პოლკოვნიკი როზენმეიერი.

მე-2 საარტილერიო ბრიგადასთან მივლენილნი პორუჩიკი მოსევიჩი და პოდპორუჩიკი ჩეროშსკი, როგორც რესპუბლიკის არა ქვეშევრდომნი, 1-ლი ამ წლის თებერვლის 5-დან, ხოლო მე-2 თებერვლის 14-დან.

სათადარიგოთ, საინჟენერო ჯარში, ტფილისის მაზრაში, საპიორთა ბატალიონის პოდპორუჩიკი ბრეგვაძე ამ წლის მარტის 1-დან.

**ამორიცხულია:** სიებიდან, გარდაცვალებული პიროქსილინის მთავარ საწყობის უფროსი პორუჩიკი ალავიძე ამ წლის მაისის 24-დან.

**დატოვებულია:** შტატს გარეშე, ყოფილ ტფილისის სადარაჯო ბატალიონის მღვდელი მახარაძე, საშტატგარეო ჯამაგირის მიცემით, ამ წლის 18 იანვრიდან.

23 ივნისი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

## № 388

**წესდება:** უფროსობა ეხლანდელ ხარისხში, თანახმად ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 1916 წ. № 253:

საინჟენერო-სატეხნიკო სექციის საერთო ნაწილის უფროსის შტაბს-კაპიტან ალექსანდრე ფირალოვისა, 1917 წ. იანვრის 5-დან.

23 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 389

**დათხოვნილია:** სათადარიგოთ, ქვეითა ჯარში, ტფილისის მაზრაში, მე-4 ქვეითა პოლკის პორუჩიკი ბაგრატიონ-დავითაშვილი.

24 ივნისი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

## № 390

**აყვანილნი არიან ნამსახურობისათვის:** კოლლეჟსკი რეგისტრატორის ხარისხზე, უფროსობით, სამხედრო მოხელენი: 1-ლ შავი ზღვის სანაპირო რაზმისა ერქომაიშვილი ვლადიმერი, 1918 წ. მარტის 14-დან და სანებლიძე ნიკოლოზი, 1917 წ. მარტის 29-დან; მე-2 მანგლისის სანაპირო რაზმისა სტეპანენკოვი ილია, 1917 წ. აპრილის 15-დან; ცალკე საავტომობილო გუნდისა კუჭუხიძე კალისტრატე, 1918 წ. მარტის 29-დან; გენერალურ შტაბის განყოფილების საინჟენერო-სატეხნიკო სექციისა სულხანიშვილი გიორგი, 1918 წ. იანვრის 11-დან; თელავის მაზრის სამხედრო უფროსის სამმართველოსი ციხისთავი თომა, 1917 წ. აგვისტოს 1-დან; რესპუბლიკის სამხედრო სასამართლოსი ბარნაბიშვილი მიხეილი, 1917 წ. ნოემბრის 17-დან:

გუბერნსკი სეკრეტარის ხარისხზე, უფროსობით,

კოლლეჟსკი რეგისტრატორები: 1-ლ ცალკე საპიონერთა გუნდისა ცირგილაძე იოსები, 1919 წ. ივნისის 12-დან; ცალკე გუნდის მუდმივის რადიო-სადგურებისა ფოთოლაშვილი მიხეილი, 1918 წ. აპრილის 6-დან.

ტიტულიარნი სოვეტნიკის ხარისხზე, უფროსობით. მე-3 დარიალის სანაპირო რაზმის კოლლეჟსკი სეკრეტარი სრესელი ანდრო, 1909 წ. აპრილის 21-დან.

კოლლეჟსკი ასესორის ხარისხზე, უფროსობით, ტიტულიარნი სოვეტნიკის ხარისხში დამტკიცებით:

მე-2 ცხენოსან პოლკის უფროსი ექიმი ჩარკვიანი იოსები, 1917 წ. ივნისის 3-დან; უმცროსი ექიმები: მე-2 ქვეითა პოლკისა წულაია იასონი, 1919 წ. მაისის 7-დან და ხეთაგური პეტრე, 1919 წ. მაისის 7-დან; მე-2 მანგლისის სანაპირო რაზმისა გვანცელაძე 1919 წ. აპრილის 26-დან და ანდრონიკაშვილი ივანე, 1918 წ. დეკემბრის 11-დან, სამხედრო საბეითლო განყოფილების უფროსთან მინდობილობისათვის ბეითალი ზაუტაშვილი გიორგი, 1919 წ. მაისის 20-დან.

კოლლეჟსკი ასესორის ხარისხზე, უფროსობით,

ტიტულიარნი სოვეტნიკები: მე-3 დარიალის სანაპირო რაზმისა სრესელი ანდრია, 1912 წ. აპრილის 21-დან და მე-2 მანგლისის სანაპირო რაზმისა ბურჭულაძე ფილიპე, 1918 წ. ოქტომბრის 5-დან.

ნადვორნი სოვეტნიკის ხარისხზე, უფროსობით,

კოლლეჟსკი ასესორები: ცხენოსან ბრიგადის ექიმის თანამდებობის აღმსრულებელი ხუციშვილი, 1919 წ. იანვრის 22-დან; ცხენოსან სამთო ბატერიის ბეითალი მახათაძე გრიგოლი, 1918 წ. თებერვლის 19-დან.

კოლლეჟსკი სოვეტნიკის ხარისხზე, უფროსობით, სანაპირო რაზმის უფროსი ბეითალი ნადვორნი სოვეტნიკი ფარეიშვილი კონდრატი, 1919 წ. მაისის 13-დან.

**წესდება:** უფროსობა ეხლანდელ ხარისხში, თანახმად ბრძანებისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სამხერო უწყების მიმართ 1917 წ. № 296, მუხ. 18,

სანაპირო რაზმის სანიტარ-ექიმის კოლეჟსკი სოვეტნიკის პავლე კერესელიძისა, 1915 წ. აგვისტოს 16-დან და მე-2 ქვეითა პოლკის უფროსი ექიმის კოლეჟსკი ასესორის აპოლონ ჰანკოტაძის. 1914 წ. მარტის 24-დან.

24 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 391

**აყვანილნი არიან ნამსახურობი-სათვის:**

სტატსკი სოვეტნიკის ხარისხზე, უფროსობით,
სანაპირო ჯარის ექიმი სანიტარი კოლეჟსკი სოვეტნიკი კერესელიძე პავლე, 1918 წ. აგვისტოს 16-დან.
ნადვორნი სოვეტნიკის ხარისხზე, უფროსობით,
მე-2 ქვეითა პოლკის უფროსი ექიმი კოლეჟსკი ასესორი ჰანკოტაძე აპოლონი, 1918 წ. მარტის 24-დან.

24 ივნისი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

## № 392

**ინიშნება:** სამხედრო სამინისტროსთან შტაბ-ოფიცრათ მინდობილებათათვის ქართველ მუსულმანთა ბატალიონის უფროსი პოლკოვნიკი აბაშიძე ცალკე ბატალიონის უფროსის ჯამაგირის მიცემით.

24 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 393

**ინიშნება:** ბორჯომის სასურსათო მაღაზიის ზედამხედველათ მოქალაქე ნიკოლოზ ოთარიშვილი ამ წლის ივნისის 13-დან.

14 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 394

**დათხოვნილნი არიან:**

სამსახურიდან, ტფილისის სამხედრო უფროსის სამმართველოს საქმის მწარმოებელი გურიელი, ამ წლის 4 ივნისიდან.

ლაშქრის ქვეითა ჯარის თადარიგში, ქუთაისის მაზრაში, ბათუმის პარტიზანული პოლკის პორუჩიკი სანაია პლატონი, ამ წლის 20 აპრილიდან, პორუჩიკი პაპავა შალვა, ამ წლის 1-ლ აპრილიდან, პოდპორუჩიკი სპანდარაშვილი პავლე, ამ წლის 1-ლ მაისიდან, პრაპორშჩიკი დადიანი ალექსანდრე, ამ წლის 1-ლ მაისიდან, ტფილისის მაზრაში, საპიორთა ბატალიონთან მივლენილი პორუჩიკი ხოზბერიძე, ამ წლის 1-ლ ივნისიდან.

**გამწესებულია:** თადარიგიდან სამსახურში, ტფილისის სამხედრო უფროსის სამმართველოს საქმის მწარმოებელის თანამდებობაზე დანიშვნით პოდპორუჩიკი მერაბაშვილი, ამ წლის 4 ივნისიდან.

**დანიშნულია:** მე-6 ქვეითა პოლკში პოდპოლკოვნიკი ჯაფარიძე გიორგი.

24 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 395

**დათხოვნილნი არიან:** სათადარიგოთ, ტფილისის მაზრაში, საინჟენერო ჯარში, საპიოროთა ბატალიონის პოდპორუჩიკი ჩხეიძე, ხსენებულ ბატალიონთან მივლენილი პოდპორუჩიკი მიქელაძე; ქვეითა ჯარში, საპიოროთა ბატალიონთან მივლენილი პოდპორუჩიკი ფანჯაკიძე და პრაპორშჩიკი ტაბლიაშვილი; ბათუმის პარტიზანული პოლკის პოდპორუჩიკი კარბელაშვილი, რკინის გზის სადარაჯო ბატალიონის პრაპორშჩიკი ჩხაიძე.

ცხენოსან ჯარში, 1-ლი ცხენოსან პოლკის კორნეტი თარხან-მოურავი მიხეილი.

25 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 396

**აყვანილნი არიან:** **თანახმად ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 1917 წ. № 193, უფროსობით, ქვეითა ჯარში,** პოდპორუჩიკის ხარისხზე: პირველ საარტილერიო ბრიგადასთან მივლენილი პრაპორშჩიკი ქურული ვიქტორ—1917 წ. მარტის 1-დან.

**თანახმად ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 1915 წ. № 563 უფროსობით, ქვეითა ჯარში,** პოდპორუჩიკის ხარისხზე: მესამე დარიალის სანაპირო რაზმის პრაპორშჩიკი ანდრიაშვილი შალვა, 1917 წ. თებერვლის 15-დან.

**თანახმად ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 1915 წ. № 563 და 1917 წ. № 296, უფროსობით, ქვეითა ჯარში.** პოდპორუჩიკის ხარისხზე სადგურ ხაშურის კომენდანტის თანამდებობის ამსრულებელი პრაპორშჩიკი ხმალაძე შალვა—1916 წ. დეკემბრის 6-დან.

**თანახმად ბრძანებისა, სამხედრო უწყების მიმართ 1914 წ. № 756, უფროსობით, საინჟენერო ჯარში,** პოდპორუჩიკის ხარისხზე: საავტომობილო გუნდის პრაპორშჩიკი იოსებაშვილი ივანე—1918 წ. იანვრის 31-დან.

**თანახმად ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 1915 წ. № 563 და 1917 № 296, უფროსობით, ქვეითა ჯარში,** პორუჩიკის ხარისხზე: მესამე დარიალის სანაპირო რაზმის პოდპორუჩიკი ანდრიაშვილი შალვა—1917 წ. ივნისის 15-დან.

**თანახმად ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 1915 წ. № 563 და 1916 წ. № 694, უფროსობით, ქვეითა ჯარში,** პორუჩიკის ხარისხზე: მეხუთე ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკი ფურცელაძე გიორგი, 1917 წ. ნოემბრის 30-დან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**თანახმად სამხედრო უწყების მიმართ ბრძანებისა 1915 წ № 563, უფროსობით, ქვეითა ჯარში,** პორუჩიკის ხარისხზე: მეხუთე ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკი კვაჭაძე ივანე—1917 წ თებერვლის 26-დან.

**თანახმად ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 1915 წ. № 563, უფროსობით ქვეითა ჯარში,** შტაბს-კაპიტნის ხარისხზე: მესამე დარიალის სანაპირო რაზმის პორუჩიკები ბურჯანაძე პახომე—1917 წ. ივლისის 1-დან, ანდრიაშვილი შალვა—1917 წ. დეკემბრის 15-დან; მეხუთე ქვეითა პოლკის პორუჩიკები ფურცელაძე გიორგი—1918 წ. მაისის 30-დან, კვაჭაძე ივანე 1917 წ. აგვისტოს 26-დან. კაპიტნის ხარისხზე: მეორე ქვეითა დივიზიის შტაბთან მივლენილი შტაბს-კაპიტანი იოსელიანი ნიკოლოზ—1917 წლის დეკემბრის 1-დან.

**თანახმად ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 1915 წ. № 563 და 1917 წ. № 296, უფროსობით, ქვეითა ჯარში,** კაპიტნის ხარისხზე: სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილებასთან სათვალავში მყოფი შტაბს-კაპიტანი ჰიჰინაძე დავით—1917 წ. ნოემბრის 1-დან.

# № 397

**25 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.**

**ჟუვანილნი არიან:** **ნამსახურობისათვის, უფროსობით, ქვეითა ჯარში,** კაპიტნის ხარისხზე: მე-3 დარიალის სანაპირო რაზმის შტაბს-კაპიტნები: ენუქიძე სიმონი—1913 წ. აპრილის 21-დან, ჯავროვი დავითი—1918 წ. ნოემბრის 23-დან, გორის მაზრის სამხედრო უფროსის სამმართველოს შტაბს-კაპიტანი ჩიკოიძე გიორგი—1919 წ. მაისის 6-დან, საინტენდანტო მიმღებ კომისიის წევრი ჯორჯაძე სიმონი—1914 წ. თებერვლის 13-დან. პორუჩიკის ხარისხზე: 1-ლ ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკები: ბაგატურია პავლე—1917 წ. აგვისტოს 6-დან, ყიფიანი ისაია—1918 წ. აგვისტოს 1-დან, ინჯია ვასილი—1916 წ. აგვისტოს 6-დან, ყოფილ ოფიცერთა პოლკის პოდპორუჩიკი საყვარელიძე ვლადიმერი—1916 წ. ივლისის 19-დან; ტფილისის სამხედრო უფროსის სამმართველოს პოდპორუჩიკი კაჭახიძე იოსები—1917 წ. ივლისის 19-დან. კავალერიაში, უფროსობით, როტმისტრის ხარისხზე: ცალკე საავტომობილო გუნდის შტაბს-როტმისტრი ბეგთაბეგაშვილი ევგენი—1918 წ. ივნისის 15-დან. პორუჩიკის ხარისხზე: 1-ლ ცხენოსან პოლკის კორნეტები, ნათიშვილი ალექსანდრე—1916 წ. მარტის 25-დან, კობიაშვილი ილია—1919 წ. ივნისის 17-დან. საინჟენერო ჯარში, უფროსობით, პორუჩიკის ხარისხზე: საპიორთა ბატალიონის პოდპორუჩიკები ძაგანია ვიქტორი—1917 წ. აგვისტოს 1-დან, სავჩუკი ნიკოლოზი—1919 წ. დეკემბრის 1-დან, მესტიაშვილი ვიქტორი—1918 წ. აპრილის 1-დან.

არტილერიაში, უფროსობით, კაპიტნის ხარისხზე: ტფილისის საარტილერიო საწყობის ხელით სახმარ იარაღის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი შტაბს-კაპი-

ტანი გვენეტაძე ილია — 1918 წ. მარტის 24-დან. პორუჩიკის ხარისხზე: ტფილისის საარტილერიო საწყობის სასროლი მასალის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი პოდპორუჩიკი სოზიაშვილი 1918 წ. ივლისის 13-დან.

25 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

# № 398

**აყვანილნი არიან:** **სომხებთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის, კავალერიაში, უფროსობით,** პრაპორშჩიკის ხარისხზე: ცალკე სადარაჯო ესკადრონის უფროსი ურიადნიკი კორძაია ალექსანდრე — 1918 წ. დეკემბრის 17-დან; მე-2 ცხენოსან პოლკის უმცროსი უნტერ-ოფიცერი კობალაძე გიორგი — 1917 წ. დეკემბრის 29-დან. კორნეტის ხარისხზე: მოხალისეთა რაზმის უფროსი უნტერ-ოფიცერი ტატიშვილი მიხეილი — 1918 წ. დეკემბრის 28-დან.

**თანახმად ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 1915 წ. № 563, ქვეითა ჯარში, უფროსობით,** პოლკოვნიკის ხარისხზე: მე-6 ქვეითა პოლკის პოდპოლკოვნიკი მაჭავარიანი ალექსანდრე — 1917 წ. ნოემბრის 25-დან.

**მთავარ-მოწამის და ძლევა-მოსილის წმ. გიორგის ორდენის სტატუტის მე-49 მუხ.** თანახმად, არტილერიაში, უფროსობით, პოლკოვნიკის ხარისხზე: მე-2 საარტილერიო ბრიგადის მე-2 დივიზიონის უფროსი პოდპოლკოვნიკი მგალობლიშვილი ვიქტორი 1919 წ. ივნისის 9-დან; და, ქვეითა ჯარში, 1-ლი შავი ზღვის სანაპირო რაზმის პოდპოლკოვნიკი ანჯაფარიძე ივანე 1918 წ მაისის 15-დან.

26 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

# № 399

**დათხოვნილნი არიან:** ლაშქრის ქვეითა ჯარის თადარიგში, ტფილისის მაზრაში, შტატს გარეშე მყოფნი: პოდპოლკოვნიკები სვანიძე (საინტენდანტოს მიმღებ კომისიის ყოფილი წევრი), სვანაძე (ყოფილი ოფიცერთა პოლკის ინტენდანტი) და ნაცვლიშვილი, პოდპორუჩიკები ხუმარაძე და კიკნაძე, პრაპორშჩიკი საყვარელიძე; კავალერიაში, როტმისტრი ამილახვარი, პორუჩიკი მამულაიშვილი.

ქუთაისის მაზრაში, კავალერიაში, შტაბს-როტმისტრი მდივანი;

საიხვედრო საბერთლო უწყებაში, უფროსი ბეითალ-ექიმი ლეჟავა.

სამსახურიდან, შტატს გარეშე მყოფნი: პოდპოლკოვნიკი ჩერნოვი, სამხედრო დროის მოხელენი: ერმოლოვი, მორუსი, ხოროშანსკი.

დეკანოზი მჭედლიძე, მღვდლები: კვალიაშვილი, ფარეიშვილი, ხარაძე, კარბელაშვილი და დათაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 ივნისი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

## № 400

**დათხოვნილნი არიან:** სათადარიგოთ, ტფილისის მაზრაში, ცხენოსან ჯარში, ცალკე თანმხლებელ ესკადრონის პრაპორშჩიკი კორძაია ალექსანდრე, მე-2 ცხენოსან პოლკის პრაპორშჩიკი კობალაძე გიორგი და ყოფილ მოხალისეთა რაზმის კორნეტი ტატიშვილი მიხეილი.

სამსახურიდან, თანახმად სურვილისა სამხედრო საისტორიო არქივის უფროსი არქივისტი მოტაპანოვი—1919 წ. ივნისის 21-დან.

სათადარიგოთ, ქუთაისის მაზრაში, ქვეითა ჯარში, ქართველ-მუსულმანთა ბატალიონის პოდპორუჩიკები ხომერიკი და შავიანიძესა საშტატ-გარეშე ჯამაგირის მიცემით.

**ინიშნებიან:** გენერალურ შტაბის საზვერავ განყოფილებაში კაპიტანი კილიმკაროვი, მე-5 ქვეითა პოლკის კაპიტანი ალექსი-მესხიშვილი, პორუჩიკები ციციშვილი და ქორქია, პრაპორშჩიკი ფავლენიშვილი, ტიტულიარნი სოვეტნიკი ზედგინიძე, ამ წლის 30 აპრილიდან.

30 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 401

**დათხოვნილნი არიან:** სათადარიგოთ, ქვეითა ჯარში, ტფილისის მაზრაში, დაშლილ ქართულ-მუსულმანთა ბატალიონის შტაბს-კაპიტანი ჩიქოვანი, საშტატ-გარეშე ჯამაგირის მიცემით.

ქუთაისის მაზრაში, ამავე ბატალიონის სამხედრო მოხელე ქარცივაძე, საშტატ-გარეშე ჯამაგირის მიცემით.

**დატოვებულნი არიინ:** შტატს გარეშე, სად. ბორჯომის კომენდანტი გენერალ-მაიორი ბარათაშვილი, მისი თანაშემწე პრაპორშჩიკი ხაჩიძე და ყოფილ 1-ლ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მღვდელი შენგელია, საშტატ-გარეშე ჯამაგირის მიცემით 1-ლი ორს ამ წლის 25 ივნისიდან, უკანასკნელს 1918 წ. აგვისტოს 1-დან.

**გაუქმებულია** ბრძანება რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ ამ წლის 15 ივნისიდან № 365, მე-4 ქვეითა პოლკის შტაბს-კაპიტან ნაზარეიშვილის შესახებ.

30 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი

## № 402

**დათხოვნილნი არიან:** სამსახურიდან, არმიის საარტილერიო ბრიგადასთან მივლენილი კაპიტანი ეკონომოსი ამ წლის 25 ივნისიდან.

სათადარიგოთ, ქვეითა ჯარში, ტფილისის მაზრაში, მე-4 ქვეითა პოლკის შტაბს-კაპიტანი ხარაიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 ივნისი 1919 წ. ქ ტფილისი.

## № 403

**დათხოვნილია:** სათადარიგოთ, ქვეითა ჯარში, გორის მაზრაში, 1-ლ შავი ზღვის სანაპირო რაზმის შტაბს-კაპიტანი კობიაშვილი.

30 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 404

**ინიშნება:** ყოფილ ცალკე თანხმლებელ ასეულის პრაპორშჩიკი ფავლენიშვილი მე-2 ცხენოსან პოლკში.

30 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 405

**აყვანილნი არიან:** ბორჩალოს ფრონტზე ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის, კავალერიაში, უფროსობით, პორუჩიკის ხარისხზე, სახალხო გვარდიის კორნეტი ციციშვილი ალექსანდრე 1918 წ. ივნისის 14-დან.

თანახმად ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 1915 წ. № 563, ქვეითა ჯარში, უფროსობით, შტაბს-კაპიტნის ხარისხზე, სახალხო გვარდიის პორუჩიკი შათირიშვილი მათე, 1918 წ. მარის 1-დან.

პოდპორუჩიკის ხარისხზე: სახალხო გვარდიის პრაპორშჩიკი ქურციკიძე გიორგი, 1918 წ. მაისის 1-დან.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,
გენერალ-მაიორი **გედევანიშვილი**